კვირა 18 მაისი

ფასი 5 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მათრახი

№ 17. იუმორისტ. ჟურნალი




ქართულ მწერლობის აღორძინების ცოცხალი მაგალითი.

ცა ღრუბლებით შემოსილა
გულ საკლავათ კვნესის ქარი,
ტალღა ტალღას ეხეთქება
აუყრია ზღვას ფაფარი,

ყველა სახლში მოკუზულა
ვისაც აქვს თავ–შესაფარი,
მხოლოდ მარტო სადღაც გარბის
რედაქტორი კუჭ გამხმარი.

გაზეთისთვის საჭიროა
ქაღალდი და მარკის ფული,
უნდა ქვიდან გამოსწუროს
ამოიძროს პირში სული.

ქართველ მკითხველის წინაშე
მოიხადოს უნდა ვალი,
აგენტები გამოაძლოს
დაითხაროს ორთავ თვალი.
ალარ იცის მოსვენება
ალარც ჭამა ალარც ძილი,
ალარ ახსოვს თავის თავი
არც ცოლი და ალარც შვილი.
შრომის ოფლში იწურება
რედაქტორი ბედ-გამწყრალი,
თვითონ ხშირათ მშიერია
აგენტი კი მუდამ მთვრალი.
[illegible]ცა ღრუბლებით მოგრავნილა
გულ საკლავად კვნესის ქარი
ნეტავი ქართველ რედაქტორს
როდის ექნება ქანქარი?

— ლი.

---

### ბულბულს.

გაზაფხულის მოციქულო,
დაუსტვინე შვების ხმაზე,
ხან მოედე ველ-მიდამოს,
ხან აფრინდი მაღლა მთაზე!
და იქიდან საამურად,
უგალობე ტურფა მხარეს:
გარიჟრაჟი, ცისკრის ჟამი,
ტკბილი ჰანგით ამცნე არეს!
მით ლამურებთ, ბნელის დარაჯთ
გაუბნიე შორს წყვდიადი
და მე კი, მე, ჩაგრულთ მგოსანს,
მომილოცე განთიადი!...

გოგია.

---

## გურული სცენა

### შეყვარებულნი.

— დეიღუპა შენი თავი, რავა შენ ყაშმიერობ, არ გცხვენია შენ სამიწევ?

— რეის უნდა მრცხვენოდეს ცავ, მიყვარხარ ხომ არ მძულხარ.

— შენ გაგისკდა მიწა, რა დროის შენი სიყვარულია ჯერე, გუშინდელი ყაზირალი ხარ.

— აწი რავა, შენ რომელი სამოცი წლის ბებიე ხარ? მე თუ ვარ ყაზილარი არც შენ ხარ ნაკლები, ხომ გაგიგონია: ,,ფერი ფერსა მადლი ღმერთსაო‘‘

— შენ მოუკვდი შენს დედას და გაგიხმა მაგი ენა.

— რეიზა მწყევლი შენ გენაცვალე.

— ეშმაკებს ენაცვალე შენ.

— რავა შამოგეკიდა ცეხლი პელაკია სხვაი ხომ არაკაცი გიყვარს?

— მაგი შენი საქმე არაა ვინცხა მიყვარს.

— დედა, გამიხეთქე ვინცხამ თავი, პელაკია, შენ თუ ცოლობაზე ვარი მითხარი იცოდე დჰვეფას გავაყენებ წყალში დევირჩობ თავს და ქე წაწყდები შენ უბედურო. რაც მოხდება მოხდეს, მიაფურტნე ეშმაკს დევიწეროთ ჯვარი და ერთი წევიქეიფოთ, კაი ხანია ერმალიას და ბესარიონას არ უმღერია კუჩხაბედნიერი.

— სასიკვტილოთ მეიკუნჩხა შენი თავი რაცხამ შენ გადაგრია დღეს.

— ღმერთო მომკალი, რავა რა წაგეკიჯა პელაკია შენ, რავა ცენტერ აძის მალოზონივით იწყევლები? შენ თავზე კაი ამბავი არ უნდნა იყოს, ვინცხა კი გიყვარს თვარა, ასე როის მწყევლიდი შენ.

ვაიმე, ახლა გამახსენდა, პარასკეობაზე, რომ ვინცხა მებოლოკია უჩენიკს დაზდევდი იგი ხომ არ გიყვარს ცავ? მე თუ იგი არ მოვკვერე კაცი არ ვიქნები.

— დეიღუპა შენი თავი იგი დედეს დეიდეშვილია შენ სამიწევ, იმას რას ერჩი?

— აბა რა მიზეზია ვარს რომ მიჩივი? აჰ...რას გაჩუმდი? თუ არ გინდებვარ მითხარი პირდაპირ, მაინც არ ვყოფილვარ სასიცოხლო და ანასუნი ჩემს საქმეს ავდგები და მევიკლავ თავს...შვიდობით...

— დასურ ჩივი მაგას ყორიფელი ნუ მოგიკვდება?

— დედა, დასტურ ვჩივი აბა რა დროის ხუმბრობაა. იცოდე პელა ია შენ თუ ცოლობაზე ვარი მითხარი, ევილებ ნიგუზალს და თქვენს ბარაზე არაფელს არ დავტიებ გადუწვავს.

— აბა რა გითხრა, რომ არ ვიცი?

— რაი და კი თქვა შენ გენაცვალე, მეტი რა უნდა მითხრა.

— კი მარა ბაბე, რომ გამიჯავრდეს მაშინ რა ვქნა?

— იმის ჯავრი ნუ გაქ შენ. იგი დროი წევიდა დედ-მამა, რომ შვილს დოუკითხავათ აქორწილებდა, ან და იმის რა საქმეა, მე შენ მინდებხარ ცოლათ თვარა მაშა შენი კი არა.

— მართალია, მარა უფრო უკეთესი იქნება იგენსაც, რომ დავიყოლიებდეთ, შენზედ ქე ქონდა ბაბას ლაპარიკი, მარა ლარიბიო ასე თქვა.

— თვითონ, რომელი მდიდარი ბურჯუეა, ნეტაი. ,,რაც ალხანე ის ჩალხანეო‘‘ ნათქვამია. მამა შენმა, რომ ვარი თქვას მაშინ დაგანებო თავი?

— აბა რა ვქნა, რომ არ ვიცი.

— იცოდე მოგიტაცებ და წაგიყვან.

— რამ გადაგრია კაცო მაჲი, რავა შეიძლება, მეიცე პაწე და პასუხს შევატყობიებ.

— აპა..პა..პა. ამაზე მეტი მოცდა ალარ შემიძლია დღეი არ მძინავს და ლამე.

— აბა რა გიყო? ამ ფშუკაში ხომ ვერ დევიწერთ ჯვარს? კაი ახლა წადი, აქანე არე კაცმა გვნახოს თვარა ხომ იცი ჩვენი სოფლის ამბავი.

— მომეცი სიტყვა და წავალ.

— ჰო..ჰო..კაი, მე კი მინდა ბაბამ თუ ქნა. შვიდობით.

— შვიდობით გნახე ჩემო პელაკია შენ გაგახარა ღმერთმა ჩემი გახარებიზა.

რ. ჯიბილ.

---

## იგავისებური.

ერთხელ თურმე ვიღაც ხანი
გაცივდა და გახდა ავად,
თუმცა ბერი ექიმები
მოუყვანეს სანახავად,
მარა ვერა რა უშველეს
თავდებოდა ხანი ნელა;
ამ დროს კარი გაიღო და
შემოვიდა სახლში მელა
იქ მყოფს უთხრა: რა გაწუხებთ
მე მოვარჩენ მაგ თქვენ ხანსო
მსურს რომ მოველაპარაკო
და გაბრძანდით ცოტა ხანსო.
გაუგონეს და გავიდენ
ჩამოუშვა მელამ ფარდა;
ავათ მყოფს ჯერ არ იამა,
მაგრამ მერე გაუხარდა
უთხრა: მელავ რა მოგცე რომ
მომარჩინო გამკურნოვო,

რაც რომ გინდა, ნუ დამზოგავ
მოითხოვე თუ გაქვს შნოვო.

დიდს არაფერს დიდო ხანო
როს ჩაგაცვა ფეხზე ქოში,
როცა კარგა მოგარჩინო,
მაშინ აქ თქვენს სახანოში,

რამდენიც მჭედელი არის
და რამდენიც თავ-ქაჩალა,
რამდენიც კოჭლი იქნება
და რამდენიც ალა-ბალა,

ყველამ თითო ინდოური
მომცენ, გაეც ბრძანებაო
(ხელი ხელს მოეხმარება
პირი დაიბანებაო.)

შენ სიცოცხლეს დაიბრუნებ
მეც კარგათ გავსუქდებიო,
მხოლოდ ხელი დამიკარი
სხვაზედ ნურას სწუხდებიო“.

დაუძახა იქ მყოფს ხანმა
უთხრა რაცა სთხოვა მელამ
გაუხარდათ და დაუკრეს
სიხარულით ტაში ყველამ.

ერთ კვირაში მოარჩინა
და წამოდგა ხანი ზეზე
გაიარ-გამოიარა
გამოვიდა გარეთ მზეზე.

დაიძახა მოდი მელავ
აჰა ათი ჯალათიო
ოცდა ათი დიდი ძარი
და ორმოცი კალათიო

აქლემებზე აჰკიდეთ და
სოფელ სოფელ იარეო
თუ რომ ბევრი მოაგროვო
ცოტა მეც მიზიარეო.

წინ მიუძღვის მიდის მელა
მივიდენ ერთ სამჭედუროში:
„ინდოური უნდა მომცე“
წასჩურჩულა ჩუმად ყურში

აქიდან დამეკარგევი
თორემ დაგკრავ ამ ჩაქუჩსო
და სისხლითა შეგიღებავ
გაიძვერავ მაგ თავ-ტუჩსო

ჰიმე! ეს რა გამიბედა
ხანი მომირჩენიაო
მალე, მალე ინდოური
მომეცი გირჩევნიაო.

შენ თუ ხანი მოარჩინე
ეგ რა ჩემი ვალიაო
წადი და იმას მოსთხოვე
შენ დაგიდგეს თვალიაო

მელამ კუდი გააქნია
ჯალათები ეცენ მჭედელს
სცემეს, გასწი-გამოწიეს
და მიარტყენ თავით კედელს.

და მერე კი ინდოური
წაიყვანეს ჩასვეს ძარში
მელა სეირს უყურებდა
გაცუნცულდა, გაძვრა კარში.

გაიარეს—მოსახვევში
დაინახეს სამჭედური
საბერველთან იჯდა ალა
და ფიქრობდა უბედური.

აბა, ერთი ინდოური
მოიყვანე მჭედელოვო,
ხანისაგან ბრძანებაა
ცხვირი არ დაიგრძელოვო.

კარგი, მაგრამ რაზე?! რისთვის?
სან, მან ოლემ მითხარიო
თქვენ თუ ხანმა გამოგზავნა
ეგ მელია ვინ არიო?

ამან ხანი მოარჩინა
ინდოურიც ამისაო
მას, მის შემდეგ გახსნილი აქვს
მადა კარგი ჭამისაო“.

შავი ქვაიც უჭამია
რა ჩემი სარჩენიაო
მელავ, შენ რომ მოჰყოლიხარ
ჩემთან რა დაგრჩენიაო!

მალე ერთი ინდოური
სანამ გთხოვდეთ მეორესო
ჯალათებო! როგორც ვატყობ
კოჭლიც უნდა იყოს ესო

ზე წამოდგა, კოჭლი რომ ვარ
მართალია და დასტური,
ამისათვის ხომ არ გინდათ
კიდევ ერთი ინდოური?

ბალი, ბალი უპასუხეს
ახლა მალე მეორეო
თუ არ გინდათ დაგიბნელდეს
დღე, სიცოცხლე, მთვარე, მზეო!

ხელი სტაცეს - დაფაცურდა
დაუარდა დაბლა ქუდი --
თავ-ქაჩალაც ყოფილაო
გააქნია მელამ კუდი.

დიან ადა, აქ მესამე
ინდოური დაბადეო
ერთს ნაღვლობდი და ახლა-კი
ორი თავზე დაადეო.

ჰალლა რაზე შემასწარი
ამ უცნაურ ხათაბალას
სად წავიდე, ვის მივმართო!
გადმომხედე ალა-ბალას!

ალაბალა?!. შეხტა მელა
ბედმა გამომიდარაო
ჩქარა ოთხი ინდოური
მეტი არა მინდა რაო!

ერთს ვტიროდი და ახლა-კი
ოთხი ინდოურებიო
ეს დიდების ხრიკებია
თქვენ რას დაგენდურებიო

შახ-ხანები რასაც მოგთხოვს
უნდა მისცე დაიჯეროთ;
თორემ მეტი გადახდება
ჩიტს კუდით ვერ დაიჭერო!

ერთობა რომ გვქონებოდა
მჭედელს კოჭლს და თავ-ქაჩალას
ოთხს-კი არა, თქვენ ერთსაც ვერ
წაართმევდით ალა-ბალას.

და ახლა კი ინდოური
ოთხი ეგერ ძარშიაო
გამოასხით წაიყვანეთ
და გაბრძანდით კარშიაო!

ერთი, ორი, სამი, ოთხი,
დაითვალა მელიამ
კუდი გაათამაშა და
ეტყობოდა რომ იამა!..

ვაშა-ბაქურა.

## გამოცანა.

(ფოთისათვის.)

გაიხსენე სომხის ქუჩა
და ზედ მდგომი სასამართლო,
ბევრი შრომა არ გჭირია,
გამოცანა გაამართლო,

იქ მწერლობდა, მოღვაწობდა,
თავ-დიდა და ტანად მსხვილი,
როგორც ყოველ ადამიანს,
მასაცა აქვს ფეხი წყვილი.

ბუნებისგან დაჩრენია
იქით-აქეთ მონგრეული,
დახე! .დახე!..სად აცოცდა,
ეს ვერანა, ეს წყეული.

ათჯერ ცხრაი, ჩაუწყვია
ბაქარაში გამოწრთობილს
და სტუმრები დაატყავა,
არ დაინდობს, არცა ძმობილს!

მერწმუნეთ, რომ ჭეშმარიტთა
ბანაკში არ ყოფილიყო,
სამათხოვროთ დარჩენილი
ხიდთან უნდა ჯდომილიყო

მოსე მწერალს, ვინ ასწავლის
როგორ უნდა თავის რჩენა,
დემოკრატთა სალანძღავათ
ამოძრავა მანაც ენა.

გამოიბწნა—გამოჩალხდა,
კიდეც გააქვს ბურთი ლელოს,
ბურჯი შვილი მოემატა,
რაღა უჭირს საქართველოს.

ვინც რომ ახსნა, მოგვაწოდოს
დაჩქარებით ჩვენ ბარათი
და საჩუქრათ მიერთმევა,
შემდეგ კვირას მას სურათი.

ოთარ-ბეგი.

F2044




# ორი მაძღარი

(საუცხოვო წესის ამგებნი)

**მენაშე** — განუ[ი]ვენე მონასა შენსა რაფაელს და მიეც მას საუკუნო ხსენება.

**მედავითნე** — საუკუნოთ იიიყოს ხსეენეიეება მიიისი.

**მენაშე** — უფალო განუსვენე მონასა შენსა რაფაელს აბრაამისა წიაღსაა შინააა და აცხონე სული ამისი.

**მედ.** — უუფალო აცხონე მოონა შენიიი.

**მენაშე** — აგრეთვე განუსვენე უფალო სულთ მბრძოლავს პეტრეს და აროვნს, რათა მალე განუტეონ სულნი მაათნი.

**მედავ.** უფალო განუსვეეენეე.

**მენაშე.** სარწმუნოებამ თქვენმან გაცხონოსთ თქვეენ.

**მედავ.** — შეენ უფაალოო.

**მენაშე** - აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე განუსვენე უფალო მონაასა ჩვენსააა.

**მედავ.** აამინ.

**ქუთაისელი.**

---

## გამოცანა.

თამამშევის ქარვასლის ქვეშ
არის კოხტა მაღაზია,
რომ შეხედავ გიამება
მართლა ისე ლამაზია.

რა თქმა უნდა შიგ მსახურებს
ოთხი-ხუთი ნოქარია,
მათში არის ერთი „გმირი“
მეტად უყვარს ქანქარია.

ენის მიტან-მოტანაში
არავინ ჰყავს ბადალია,
და ალასაც ძლიერ უყვარს
ეგ სულელი — აბდალია.

არაფერს არ ერიდება
ოღონდ იყოს მაძღარია,
ბოროტებას ისე შესტრფის
ვით სეფისკვერს მოძღვარია.

ერთხელ ამ „გმირს“ აუმხედრდა
იქვე მყოფი ნოქარია,
კარგათ გააპატიოსნა
დაუბნიი დავთარია.

ამას სხვებიც შეუერთდენ
მიაყარეს ქვა და გუნდა,
შენისთანა გაიძვერას
მიაძახეს — ასე უნდა.

კლუბის წევრობა უნდოდა
შეიტანა განცხადება,
დასწყევლოს ღმერთმა ეშმაკი
იქაც ეს ამბავი ხდება.

ყველა წინაღმდეგია
ვინც გაიგო მისი გვარი,
კლუბიდანაც გამოაგდეს
წევრობაზე უთხრეს ვარი.

გირჩევ, რომ ცოტა დაფიქრდე
საქმე არა ქნა ცუდია,
თორემ იცოდე მოგხვდება
კიდევ, მათრახის კუდია.

**ზენათობა.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ერმალოზის მოღვაწეობის გამო.



შეხედეთ მამა ერმალოზს,
რომ გაუშლია ხელები!
ქანქრის საკრეფათ სულს სწირავს
(პირში ვერ მივეფერები).

ჯამაგირი და პენსია
ბლომათა აქვს უძღებ მღვდელსა,
მაგრამ მაინც არა ჰყოფნის,
სხვაგან იშვერს კიდევ ხელსა.

ერთი წიგნი გამოაცხო
სისულელით გატენილი
ნაწვილები, ნაჩმახავი
ბევრი ოფლით დადენილი.

აიღო და გაუგზავნა
ისიდორე ივანიჩსა
შენ სახელზე გამოეცი
ფრიად შეფერს ეგ შენ ნიჭსა.

ისიდორემ, მოწიწებით
შეასრულა თხოვნა ესა,
რაც ქანქარი კი გააჩნდა
სულ ყველაი იქ ჩათესა.

ეხლა შეხედეთ ნიკოლოზს
მოუღერია ყელია
გარს გოგოები არტყია
გადუხვევიათ ხელია.

ეშმაკი თავზე ადგია
მათრახი მოუღერია,
უნდა ძალაზე დაზილოს
ჩვენი ნიკოლოზ შტერია.

მღვდელი კი ჩუმათ ჩურჩულებს:
ნუ გეშინიან შვილებო,
ახსენეთ ჩემი სახელი
უჩემოთ გამოზდილებო.

მე შეგავედრებთ უფალსა
ვახსენებ ჯვარს და ხატებსა
მე მოგიდგებით დაგიცავთ
როგორც რომ მწყემსი ბატებსა.

ნუ გეშინია ეშმაკის,
თუმც კი გედარაჯობს ყველგანა
ვილოცავ ჯვარსა უჩვენებ
გაიდევნება ჩემგანა.

**პრიომჩიკი შარაბიძოვლი.**

# მესტვირული

(ვერელებს)

ნურავის გაგიკვირდებათ,
თუ ხელთ ავილე სტვირია,
მეც ვიცი პოეტთა რიცხვი
ჩვენ დროში მეტად ხშირია.
მინდა ვერელებს შევეხო
შორს წასვლა აღარ მჭირია.
ვინც არის ჩვენი ერთგული,
გამოსადეგი-გმირია:
ვინაა მტერი, ორგული,
სულ გაყიდული გზირია!..
ან ჩვენ მუშებსა, ხელოსნებს
საით გვიქნია პირია?
დაგვავიწყდა თუ კვლავ გვახსოვს
„აღთქმა და დანაპირია?''
ან იქნებ წყლული გვიმთელდა,
„აგვცილდა—გასაჭირია?".
ვაი რომ ამის პასუხი
ასაკვნეს ასატირია!..
წინ, წინ მივდივართ ვერელნი
გონება გვინათლდებაო,
ღვინის სავაჭრო „პადვლებ''
დღე და დღე გვიმრავლდებაო.
ზოგსა დაუდგამს საკრავი,
სიამით იღიმებაო,
როს ხედავს მშრომელი ხალხით
პადვალი იჭედებაო...
მიდის და მოდის ბოთლები,
მსახური იქანცებაო,
ტანჯვით ნაშრომი, ნაოფლი

F 2044

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

სიმღერით იხარჯებაო?.
ხურდება სმა და ქეიფი,
რეჩები იზარხებაო..
ზოგი მტერს მუსრავს, ზოგს კიდეც
პყრობილი აგონდებაო?..
(მისუსტებული ლუღლუღებს
საბრალოთ იცრემლებაო!)
მათი გრგვინვა და ქუხილი
მაღლა ზეცასა სწვდებაო
ასე ამ გვარათ ,,პადვლებში“
მიდის დღე—ღამე დგებაო
გარეთ კი საქმე სახალხო
ისევ ძველ ყოფათ რჩებაო!!—
(ჯერ ეს ვიკმაროთ თორემა
შაირი გვიგრძელდებაო).

**პირდაპირი.**

**(ჩოხატაურისთვის)**

**გაგრძელება.**

აბა შენ ჩემო ქამანჩავ
დაუკარ ისევ სტვირია,
კვალ და კვალ მიჰყევ იმ ვაჟებს,
განზე რომ მიაქვს ცხვირია...
მით უფრო იმ მღვდელს, საბრალოს,
რომ დაუღია პირია
„მამის გინებით“ სხვებთან სურს
დაგვიგმოს სამსახურია,
მალე იმასაც მივწვდებით
ვნახოთ როგორი გმირია...
მხოლოდ დღეს ნელი ღიღინა
ილიკოსათვის მჯირია,
მსგავსი მაგისა ქვეყნადა
ვფიქრობ, მნახველი ძვირია!..
აფთექის დუქნის პატრონსა
ტანზე ჩამოდის წვირია,
პერანგი გაურეცხელი,
დაუბანელი პირია
„ჩუჩალათ“ იჩენს მეწამლეს
და რაღა გასაკვირია...
თუ ღამე მისმა დანახვამ,
გეგიძე გადაგვირია!..
ღვინოს რომ ყლაპავთ ილიკო,
ნუ თუ ამდენათ გწყურია!..
თრობას რომ თვითონ კიცხავდი,
ბევრჯერ მოვჰკარი ყურია,
ეხლა თვითონვე გამხდარხარ
მისი უძირო ჭურია...
„პრინციპის“ კაცსა არ გშვენის
ბახუსის სამსახურია...
თრობის დროს, სხვისი მიხდომა,
აბა რა რიგი-წესია,
ხომ გახსოვს აფთიაქრები,
თუ როგორ წამოგესია?..
(ვეღარ გიშველა ვალოდიმ..
და ვეღარც შენი ბესია)...
ასეთ საქციელს სხვა რამ ჰქნა...
ათასჯერ უკეთესია!...
დამწყნარდი ჩემო ბიძიკო,
მიხედე წამლის უჯრებსა,
„პრინციპის“ კაცი რადგან ხარ...
ნუ აჰყოლიხარ ბიჭებსა,
თორემ გახსოვდეს სულ, მალე,
სიკოტრე გაგიღრიჭებსა!..
აწ დავისვენოთ ქამანჩავ,
გავყვეთ შინისკენ წყნარადა,
დღეს თუ ილიკოს უმღერეთ,
ღვინოს რომ ყლინწავს მარადა,
ხვალ-კი სხვებიცა გველოდეს,
გულისა გასახარადა.

**წაველა.**

---

## გამოცანა.

(ბათუმლებისათვის)

სეტს ეძახიან, არ ვიცი
სახელია თუ გვარიო:
გერმანთან არის რომ ჩმახოს
ლანძღვა-გინება-შარიო.
თავი აბია კამეჩის,
წვერი პატარა თხისაო,
დუქანში იცის შეძრომა
იქ დაღამება დღისაო.
ძალიან უყვარს კახეთი,
ცოტა ნაკლებათ სვირიო,
რადგან იმათი წყალობით
გაწითლებია ცხვირიო.
ამბობს: „ცოდვაა რომ ღვინო
არ იყიდება ღამეო:
სხვების გულისთვის ჩვენს დროში
ვერც ვსვი და ვერცა ვჭამეო.
რათ უნდა ძილი გამყიდველს,
ან ნოქარს მოსვენებაო,
დაგვისხან, თანაც გვაჭამონ—
აგრეა ჩემი ნებაო“?,

**თ. მაღალაძე.**

---

## კაკლის ხეს.

(ჭიათურისათვის).

ოჰ, კაკლის ძირო, იმ ნეტარ ღამეს
მხოლოდ შენ იყავ ჩვენდა მოწამეთ,
რომ ჩაგვივარდა აქიმი ხელში:
როგორ ვჯიჯგნიდით, როგორ ვაწა-
მეთ!.
მან აიტანა ყოველივე ეს[illegible]
ერთიც არ უთქვამს სიტყვა: „მაკ-
მარე“!
და „გულის წყრომას“ არ შეუშინდა
მაინც ამბობდა: „შენ გენაცვალე“!
ოჰ, კაკლის ხეო, საიდუმლონი
შენ ნაქები გაქვს და თუ შესცვალე,
ვეღარ მოვითმენთ, ცულით ძირს
დაგცემთ,
სჯობს არც შენ იყო,—გარდაიცვა-
ლე...
ვინ იფიქრებდა იმ ნეტარ ადგილს
სახლს ააგებდენ და ასე მალე?!
ბევრი ვეხვეწე მე მის პატრონსა,
კერპი ყოფილა არ შევებრალე!
შენც მარტო დარჩი ტოტებ აფრ-
ცქვნილი
ჩვენს ბედს გაწვევენ დღეს ანუ
ხვალე,
—ოდეს მაგ ადგილს შემოგედავონ
ებრძოლე დიდ ხანს, თუ დაიძალე,
წამოდი გვნახე ერთად ვეძიოთ;
გადავიტანოთ განცდანი მწარე,
და ის აქიმი ჩვენ რომ დაგვსაჯა,
ცრემლით დავრხიტოთ მას ვენაც-
ვალე!!!

**ლუბა.**

P. S. ამის მოწმეა ცამეტი წელი
კაკლის ხის ძირში, ხის სარეცელი
სადაც „დუშიდგან“ ამონაგლეჯი
მესმოდა ძმათ სიტყვები მწველი.

**ლუბა.**

---

## ბათუმის ნოქრების სიმღერა.

ჭიათურისგან მოგვესმა
ნოქრებზედა ტკბილი ნანა,
მარტო იმათ უნდა მღერა
სხვა არ არის კაცი განა?
იმათზე უფრო ჩვენ ვიცით
ცხოვრებისა გზა და კვალი:
ნოქრებს ყველას მართებს ძილი
ეს საერთო არის ვალი.
თუმცა თქვენ ხაზეინები
ნანას გიმღერს ასპარეზზე,
მიკვირს რისთვის მოგერიდათ
რომ თოკსა არ გიჭერთ ყელზე
ჩვენ არ ვტანჯავთ ხაზეინებს
თქვენი საქმე გვეცინება,
ჩვენ ხომ ნანა არ გვჭირია
თავის თავათ გვეძინება.

**ობოლი.**

## ქუთაისის ცხოვრებიდან.

ეკითხება დედა შვილს:
—რა ისწავლე შკოლაში?
—ის ვისწავლე დედიჯან
რაც რომ არის მოდაში—
—მითხარ შვილო გენაცვა
რაა ეხლა მოდაში.?
—,,ტანგო'' დედა, ტანგო, ტანგო
ლამაზებთან გადიბარგო.
რვა კლასი გავათავე
დავპროწიალობ ბალში
მინდა ცოტა გავერთო,
რა დამაჯდენს სულ სახლში.
შენ აქ იყავ დედიჯან
დამაჩვედრებ სადილსა,
მე კი ქორფა ყმაწვილთან
გადავიხდი ხადილსა.
მერე ჩემო დედიკო
ლამაზო და კარგო,
უნდა ვითამაშო
ჩემს დუშკასთან ,,ტანგო''.

ლილა.

## ნაძალადევი.

პარ. ქუჩაზედ სერგ. დუქნის წინ განახლდა სიეზდი ბატ. თავჯდომარეობით. სხდომა იხსნება საღამოს 5 საათ. გრძელდება 9 საათამდის კრებაზედ სხვათა შორის განსახილველი იყო ორი საკითხი: ბახუა და ჭორიკანობა. შესახებ ბახუასი ერთი დიდი გოდორი რეჩი დაანთხია ბატმა, ის ამტკიცებდა „რადგან ნუნუას ფასმა შესამჩნევად იმატა, ჩვენი უძირო მუცელი კი არ იშლის თავისას ამიტომ, ეკონომიური ნიადაგის გასაუმჯობესებლათ საჭიროა ნუნუა ბოთლებით, ხელადებით და ზოგჯერაც ტიკებითაც ვყლაპოთ“. ამის წინაღმდეგ გაილაშქრა ბატ. ტვინთხელაძემ. წესიერების დარღვევისთვის თავმჯდომარემ დელეგატს სიტყვა წაართვა და კინწის კვრით გადმოაგდო ტრიბუნიდგან, რომელიც გაძევებული იქმნა რამდენიმე სხდომიდგან. ამ ამბავმა დიდი შეხლა-შემოხლა გამოიწვია დელეგატებში. იქვე დუქანში ერთი რუმბი ყურძნის წვენი დაილევარა ჭურჭლები შაინძრა, შუშები დამთელდა, სტოლები მხარ-თეძოთ წამოწვა, სკამებმა გემნასტიკა გააკეთა, დელეკატებს ზოგს გოგრა შეერყა და ზოგს ფეხები.

ამ ბოლოს ხმები გავრცელდა: რადგან უგვანო დელეგატებთა შორის, თავმჯდომარემ ვერა გაწყო რა, ისინი ისევ განაგრძნობენ თავიანთ თავხედობას და სისულელის როშვას. ამიტომ სანამ დელეგატები ერთი მეორეს თავს სააღდგომო კვერცხივით შეუფერადებდენ, აიღოს დიდი კეტი და გარეკოს მეტიჩარა დელეგატები.

შანთი.

# სანაგველა

საზოგადოთ მიღებულია თუ პოეტმა პირველათ ცუდი ლექსი დასწერა, თუ ბელეტრისტმა ცუდი მოთხრობა, სოფლელმა კორესპონდენტმა უშნო კოროესპონდენცია და გამოგზავნა გაზეთში ან ჟურნალში დასაბეჭდათ, რედაქტორმა უნდა წაიკითხოს (თუ კლუბში ნამყოფი არ არის და ძილით გამომძღარია.) წაკითხვის შემდეგ რედაქტორი ამა თუ იმ ნაწარმოებს ან დასაბეჭდ მასალებთან სდებს და სტამბაში გზავნის, ან იქვე მაგიდის ქვეშ პატარა კალათში აგდებს. ამ კალათს „ნაგვის გოდორს“ ეძახიან. (ვინ გამოიგონა, ან რათ დაერქვა ამ პატარა კალათს გოდორი არავინ იცის) ამ კალათში ჩავარდნილი ნაწარმოები სამუდამოდ იმარხება. ის ველარ ეღირსება დღის სინათლეს, გაზეთის ფურცლებს. ახალ გაფურჩქნილი მწერალი გულის ძიგ-ძიგით ელის თავის პირველ ნაწარმოებს, სიზმარში ელანდება თითქოს გაზეთს კითხულობს და თავის ლექსს ან მოთხრობას ეალერსება. გადის დღეები, კვირეები, თვეები და წელიწადები ნაწარმოები არ სჩანს. მწერალი რწმუნდება რომ ის „ნაგვის გოდრის“ მსხვერპლი გახდა არ მოიწონეს დასაბეჭდათ. ეს გარემოება ისე მოქმედობს, რომ შესაძლებელია მან კალამი თავის დღეში ხელში არ აიღოს. ეს ძველებური ჩვეულება ჩვენ დიდ დანაშაულობათ მიგვაჩნია. ჩვენ განვიძრახეთ სასტიკი ომი გამოვუცხადოთ „ნაგვის გოდორს“. ქვეყანაზედ ისეთი მწერალი არ დაბადებულა რომ პირველათვე შესანიშნავი რამ დაეწეროს. ამ ცუდი ჩვეულების წყალობით და „ნაგვის გოდორში“ წერილების ჩაყრით ადვილი შესაძლებელია, ჩვენ ბევრი, ჯერ კიდევ გაუფურჩქნავი ნიჭი ჩავკლათ და ისედაც ღარიბს ჩვენ ლიტერატურას ძალები დაუკარგოთ. ამ მოსაზრებით ჩვენ განვიძრახეთ გადავლახოთ ძველი ადათი, მოვსპოთ სამუდამოთ „ნაგვის გოდორი და ყველა მწერალს ფართო გზა მივსცეთ ჩვენს ჟურნალში. არც ერთ ლექსს არც ერთ მოთხრობას, არც ერთ კორრესპონდენციას „გოდორში“ არ ჩავაგდებთ. არც ერთ წერილს ჩვენ ხელს არ ვახლებთ, ერთ ასოს არ შევცვლით, („ხშირათ ხდება, რომ დაბეჭდილ წერილს ველარ სცნობს ავტორი). დავბეჭდავთ ისე როგორც იქნება დაწერილი. ამ განზრახვის სისრულეში მოსაყვანათ დღეიდან შემოვიღეთ ცალკე განყოფილება „სანაგველა“, სადაც ასეთ ნაწამოებებს ექნება ადგილი. ყოველივე ნაწარმოებს ჩვენი შენიშვნა ექნება იმის აღსანიშნავად თუ რა ნიჭის პატრონია ავტორი. ეხლა ვბეჭდავთ ლექსს, რომელიც ეკუთვნის „უცბად გაპოეტებულ“ ახალ გაზდას.

„ბატონო რედაქტორო, თეოფილე! უმორჩილესად გთხოვთ მიიღოთ ეს ჩემი პატარა თხოვნა, და იმედი მაქვს ამისრულებთ, რომ დაბეჭდოთ და გამოუშვათ ქვემოხსენებული ლექსები ჟურნალ გაზეთ მათრახში კვირას. 27 ამ თვეს, ანუ თქვენი მხედველობით როდესაც გნებავდეთ.

სათაური. **ამწვანებული ბალახი** *).

ამწვანებულო ბალახო
უძვირფასესო ქვეყნისთვის,
რომ ასაზრდოვო ყველა ცხოველი
ამოსული ხარ იმისთვის.
მაგრამ ჯერ კიდევ უნდა ვსთქვა:
შენ აფერვანებ ქვეყანას
სიმშვენიერეს და სილამაზეს
რომ აძლევ ყველა მინდორ და ყანას.

ჟ54/1 F 88 1914 3.4ჩ.

და ამისათვის, რომ მოვკვდე
ბალახო ამწვანებულო,
ჩემს სათვლშიაც ამოდი
სილამაზითა შემკულო.

დაასრული ფილიმონ.

*) პოეტს შეუდრეკელი ნიჭი აქვს ლექსების წერის. საზოგადოთ ბევრი პოეტები გვყავს ,,მზის პოეტი'' ,,მთვარის პოეტი'' ,,კოცნის პოეტი'', მაგრამ დღემდე ,,ბალახის პოეტი'' არ გამოჩენილა, ბალახს არავინ შეხებია. ამიტომ ავტორი ,,ბალახის პოეტი'' უნდა იყოს. ეს შესანიშნავი მოვლენაა ჩვენ ლიტერატურაში და ეჭვს გარეშეა დიდ ყურადღებას მიაქცევენ ამ გარემოებას კიტა და კოკი აბაშიძენი, აკაკი პაპავა, იპ. ვართაგვა და სხვები, ,,ბალახის პოეტმა'' სრულიად ახალი ხანა შექმნა ჩვენს ლიტერატურაში.

„სანაგველა“ს რედაქტორი.

## „მათრახის“ ფოსტა.

ჭიათურა — ეზოს-ხატელს. ნუ თუ გგონიათ რომ მაგდანიეს და კესარიესთვის სცალია ჩვენ ჟურნალს. რამდენი ახუნტრუცებული გოგოა მაგ თქვენ ჭიათურისკენ ყველაზე თუ ასეთი ლექსები სწერეთ ერთი ორი ქვევრი მელანი მაინც მოგინდებათ. როცა ლექსის წერის სურვილმა გაგიხიცინოთ თავში აილეთ ნახშირი და დასწერეთ სახლის კედელზე. ნახშირი ხომ ბლომად გაქვთ მანდ.

ოზურგეთი — ცეცხლს — ,,ფოთიდან მოსულ მესათეზე'' თქვენ გამოკანას ვერ დაბეჭდავთ, რადგან თქვენი ლქსი ზუგდიდიდან უნდა იყოს მოსული.

ყვირილა — პანტელ ნიორაძეს. მივიღეთ თქვენი მოკითხვის ბარათი. გახსენებისთვის გმადლობთ. არხეინად იყავით, ძილს ნუ გაიტეხთ. თქვენზე არაფერი ამბავი არ არის ჯერ ჯეროვნით.

ფოთი —მუშა შხეფელს. თქვენი წერილი წავიკითხეთ და სიამოვნებით შევასრულებთ თქვენ თხოვნას, მხოლოდ ისეთ რამეების ბეჭდვა რასაც თქვენ იწერებით ყოვლად შეუძლებელია. სწერეთ სხვა რამეზე, გარყვნილი ქალი და კაცი ბევრია ქვეყანაზე ეს ყველამ იცის.

სოხუმი — მაშხალას. თქვენი ივანიკაი და გაბრიელაი ძალიან მოცლილი ხალხი ყოფილა, რომ სოხუმში მუსაიფობენ მათი მუსაიფის დასაბეჭდათ არ გვცალია.

აბაშა—ნაცნობს. თქვენმა ლექსმა ისეთი აღფრთოვანება გამოიწვია ჩვენს რედაქციაში, რომ ორ კაცს გული შეუწუხდა და წყლით ძლივს მოვაბრუნეთ. რედაქტორს სლოკინი აუვარდა და დღესაც ვერ გაუჩერებია. რადგან საშიშოა მკითხველებშიც რაიმე უბედურება არ დატრიალდეს მთელი ლექსის დაბეჭდვა ვერ გავბედეთ. ვბეჭდავთ ნაწილ-ნაწილ.

„ერთი ვინმე ჩოხოსანი
მუცელ გაბიზინებული
აბაშაში დახვახუნობს
წვერებ მოტინტილებული.

## ლანჩხუთის სიმკითხველოს აქვს გამოწერილი:

1) „ჩვენი ერი“—ბედნიერი.
2) „იმერეთი“ —ძველი ღმერთი.
3) „სახალხო გაზეთი“ — ხატის ზეთი.
4) „შრომა“ —ფეხზე დგომა.
5) არ არის „ლახტი“ – საგვანეში გადახტი. არც ვსაჭიროებთ, ვინაიდგან სანიტარული კომისია აყენებს ოქმს და წარუდგენს „კოკს“.

ჯაფარ-ფაშა.



გაზაფხულის სურათები ბაღებში.

ელექტრო-მბეჭდავი ამხ. ,,შრომა'', მუხრანის ქ. № 12. რედაქტ.-გამომც. თ. ბოლქვაძე.